სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080148429953819

№ 5217

25 / დეკემბერი / 2019 წ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 20 დეკემბერს (18:21 საათზე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის SMP190005000 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების შესყიდვას (CPV79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები), ღირებულებით 30000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ჩასატარებელი კულტურული ღონისძიებების მუხლში, შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების მომსახურების შესყიდვის მიზნით, თავდაპირველად, 2018 წლის 31 დეკემბრის N64 ბრძანებით გამოიყო 15000 ლარი, რომლის თანახმად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს დაგეგმილი ჰქონდა, ახალ 2020 წლის შემობრძანებასთან დაკავშირებით, ტრადიციულად, საახალწლო ღონისძიებების ჩატარება, რაც მნიშვნელოვანია ქალაქისთვის და ემსახურება სოციალურ, კულტურულ და სხვა საჯარო მიზნების მიღწევას.

აღნიშნული ღონისძიების მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მუშაობდა საახალწლო დღესასწაულზე ჩასატარებელი ღონისძიებების პრიორიტეტებზე, სცენარებზე, რის შემდეგაც დაკონკრეტდა ფინანსური საკითხები, რომლის თანახმად შესასყიდი ღონისძიების ღირებულებამ შეადგინა 30000 ლარი.

საახალწლო ღონისძიებების უდიდეს ნაწილს აფინანსებს ადგილობრივი ხელისუფლება, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სიმცირის გამო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ფინასური მხარდაჭერა სთხოვა სხვადასხვა კერძო კომპანიებს. რომლებმაც მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოახერხეს არსებული პრობლემების გადაჭრა.

2019 წელს ჩასატარებელი კულტურული ღონისძიებების მუხლში გათვალისწინებული ღონისძიებების და ასევე სხვადასხვა პრიორიტეტული პროექტების დასრულების შემდეგ, რომელთა უმრავლესობა დასრულდა ნოემბერ-დეკემბრის თვეში, გამოთავისუფლდა თანხა ეკონომიის ფარგლებში და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 17 დეკემბრის N 28/29 განკარგულების საფუძველზე, 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში, შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების მომსახურების შესყიდვის მიზნით განისაზღვრა 12000 ლარი, რომელიც დაემატა ადგილობრივ ბიუჯეტში თავდაპირველად

განსაზღვრულ, ასევე შემდეგ, 2019 წლის 30 ოქტომბრის N61 ბრძანებით გამოყოფილ თანხას და ჯამში შეადგინა 30000 ლარი, რაც აუცილებელია საახალწლო ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად.

ღონისძიების საორგანიზაციო ნაწილის შესყიდვა მონეტარული ზღვრების მიხედვით ექვემდებარება ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვას, შესაბამისი პროცედურების განხორციელება კი ბიუჯეტში საკმარისი თანხის არ არსებობის გამო დროულად ვერ მოხდა. ღონისძიებამდე დარჩენილ ვადაში ელექტრონული ტენდერის ჩატარება ვერ ესწრება და საფრთხე ექმნება დაგეგმილი ღონისძიების დროულად განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ღონისძიების შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება საზოგადოებრივ ინტერესებს.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ჩასატარებელი კულტურული ღონისძიებების მუხლში, შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების მომსახურების შესყიდვის მიზნით, თავდაპირველად, 2018 წლის 31 დეკემბრის N64 ბრძანებით გამოიყო 15000 ლარი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ საახალწლო ღონისძიების ორგანიზებისთვის შემუშავებული სცენარის მიხედვით ჩასატარებელი ღონისძიების ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 30000 ლარი. ბიუჯეტში შესაბამისი თანხების არარსებობის გამო ვერ მოხერხდა ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის დროულად გამოცხადება. საჭირო თანხა, საბოლოოდ, გამოთავისუფლდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 17 დეკემბრის N 28/29 განკარგულების საფუძველზე. საახალწლო ღონისძიებამდე დარჩენილი ვადა არ იძლევა ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საახალწლო ღონისძიება ემსახურება სოციალურ, კულტურულ და სხვა საჯარო მიზნების მიღწევას, აუცილებელია ზემოხსენებული შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება საზოგადოებრივ ინტერესებს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია გადაუდებელი აუცილებლობის აღმოსაფხვრელად საჭირო კრიტიკული მოცულობის შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, დროულად და კვალიფიციურად დაგეგმოს და განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები, მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურებების შეძენის მიზნით, იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის SMP190005000 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე